ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 82

"18" მარტი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.013.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.013.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 23 თებერვლის №22.205.226 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.05.013.036) მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

დანართი N1

N	სახელი გვარი	პირადი ნომერი	სართული, დაკავებული ბინი ნომერი	ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
ქალაქ თბილისი, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1 (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.036)					
1	ელმან საფაროვი	01008048897	სართული 2, ბინა N10	16.33	01.11.05.013.036.01.010
			სართული 2, ბინა N10ა	12.81	01.11.05.013.036.01.010ა
2	იბრაგიმ იზნო	37001032540	სართული 3, ბინა N21	34.21	01.11.05.013.036.01.021